შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი.

№ 6.

კვირა, თებერვალი 8, 1909 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.
ნახევარი წლით — 2½ მან.
(ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: სარწმუნოება და მეცნიერება—ნაცარყანელისა; ზნეობრივი გადაგვარება—ე ჩ.—ძე-სა; პირველი ფურცელი ბიბლიისა—ონოფრე მწირისა; ილია ჭავჭავაძე—ხომლელისა; კვირიდამ კვირობამდე; სკოლების რევიზიისა და მართვა-გამგეობის ახალი საშუალება—კინკილეთელისა; ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ბრჭყვიალებს; ფიქრნი და მოგონებანი საქართველოს ეკკლესიის აწმყო და ყოფილ მდგომარეობაზე—(წერილი არქ. სერგისა).

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ 1908 წლის ხვედრი ფასი.

შემოწირულება იაფ სამეურნეო წიგნების გამოსაცემად

(იხ. № 5 „შინაური საქმეებისა“ წერილი ნ. მკურნალისა.)

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ მიიღოთ ჩემმიერ შეგროვილი წვლილი, რომელიც შემოსწირეს შემდეგმა პირებმა:

თავადმა ვლადიმერ ივლიანეს ძე იაშვილმა	— — —	10 მან.
კნ. ეკატერინა მიქელაძისამ	—	1 ,,
თავ. ლევან მიქელაძემ	—	1 ,,
ადოლფ გრიბოვსკიმ	— —	50 კ.
პლატონ შარაშიძემ	— —	20 კ.
კონსტანტინე მკურნალმა	—	1 მან.
ბესარიონ გაბუნიამ	— —	30 კ.
გრიგოლ გვეტაძემ	— —	50 კ.
	სულ	14 მ. 50 კ.

ალ. მკურნალისა

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2½ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

სარწმუნოება და მეცნიერება.

ჩვენს განათლებულს დროშიც არის ცრუ მორწმუნეობა. ბევრს ეხლაც სჯერა, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, რომ მეცნიერი კაცი ვერ იქნება ჭეშმარიტ ქრისტიანედ; ზოგნი მხოლოდ განუსჯელად და მოუფიქრებლად იმეორებს ამ ცრუ მორწმუნეობას იმის მაგივრად, რომ ცოტა გაანძრიონ ტვინი და ჩაუკვირდნენ ამ საკითხს. მ გრამ იმ გვარი პირებიც კი არიან, რომლებსაც აწუხებთ ეს უთანხმობა სარწმუნოებასა და მეცნიერებას შორის. თუ ვისმე სურს შეიძი-

საპატრიარქოს

ნოს მტკიცე და შეგნებული სარწმუნოება, მან უნდა განიცადოს ეს უთანხმობა და სძლიოს იგი; ამისთვის კი საჭიროა გულწრფელი ძიება სიმართლისა და მტკიცე გადაწყვეტილება, რომ მოიხრი ქედს მის წინ, თუნდაც მწარე იყოს ეს სიმართლე.

I.

პროგრესი საბუნების-მეტყველო მეცნიერებისა.

საბუნების მეტყველო მეცნიერებამ ჩვენს საუკუნეში დიდი ნაბიჯი წასდგა წინ; ბუნების მეტყველება ეხლა ჰყვავის და დიდს პატივისცემაში თანამედროვეთა შორის. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ჩვენი მთელი ცხოვრება ამოწმებს ბუნების მეტყველების წინსვლას და გამარჯვებას. რაღა სათქმელია ეხლა მოგზაურობა ჩარდახიანი ურმით ან ტროიკით! ეხლანდელი ჩქარი მატარებლისთვის არაფერია მთები, გორები, ხევები და მდინარეები; გარბის გაჩქარებული და ქვეყნის ერთი მხრის ხალხი გადაჰყავს მეორეში. ეხლანდელი დიდი ორთქლითმავალი გემები ხომ თითქმის სულარაფრად აგდებენ ზღვის ღელვას და ტალღებს და რამოდენიმე დღის განმავლობაში ძველი ქვეყნიდან ახალში გადაჰყავს მგზავრები. ელვაც კი დაიმორჩილა კაცმა; ელექტრონის საშუალებით ღამე ჩვენი სადგომები და ქუჩები ისეა განათებული, როგორც დღისით მზის სინათლით; ელექტრონის ნაპერწკლები სწრაფად გადიან ოკეანებს და ხმელეთს და გადააქვთ იქ ჩვენი ხმა, აზრი, ბრძანება; ეს გამარჯვება საბუნების-მეტყველო მეცნიერებისა ფრიად თვალსაჩინოა; ჩვენ ისე შევეჩვიეთ მას, რომ რაოდენიმე დღე რომ მოგვაკლდეს ის მოწყობილობა, რომელიც შეგვძინა ბუნების-მეტყველებამ, ძალიან უხერხულს მდგომარეობაში ჩავცვივდებით.

განვითარებული ტეხნიკა ხელს უწყობს ქვეყნის მეცნიერულად გამოკვლევას. ეხლანდელი ტელესკოპის მეოხებით ვარსკვლავთ-მრიცხველებმა ისეთი ვარსკვლავები აღმოაჩინეს, რომელთა არსებობა ეჭვადაც კი არ მოსდიოდათ ამ ორმოცდაათი წლის წინად; მიკროსკოპის შემწეობით კი მეცნიერებმა აღმოაჩინეს მთელი ქვეყანა მცირეზე უმცირეს ნაწილებისა და ცოცხალ არსებათა. მაშინებით, ელექტრონით, ორთქლის ძალით გაადვილდა მუშაობა, გაიხსნა ახალი გზები აღებ მიცემისა, მრეწველობისა, წარმოებისა. გაუმჯობესებული ტეხნიკა ხელს უწყობს წიგნთ ბეჭდვას, ხელოვნების განვითარებას, მეურნეობას მიწად მოქმედების გაუმჯობესებით. ამიტომ სრულიად სამართლიანია და დამსახურებული ის პატივი, რომელიც აქვს ბუნების-მეტყველებას საზოგადოებაში.

ბუნების მეტყველების მნიშვნელობა ქრისტიანებისთვის.

ქვეყანაზე უღვთოდ არა ხდება-რა; მისი ნებით არის, რომ ასე ბრწყინვალედ განვითარდა ბუნების მეტყველება და ასეთი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას. ამ მეცნიერების ესე განვითარება და შედეგი ამ განვითარებისა არის აღსრულება შემოქმედის ბრძანებისა, რომელიც მან მისცა სამოთხეში ადამს და ევას: „ეუფლენით ქვეყანას“ (შექმ. 1, 28). ყოვლად მოწყალე ღმერთმა ინება მიეცა თავისი შვილებისთვის საზრდოობის ახალი წყაროები, მოქმედების ახალი მხარეები და ამიტომ მისცა მათ სამსახურებელად ცეცხლი, ელექტრონი, ორთქლი, სინათლე და ჰაერი; ინება მან შემსუბუქება ცხოვრების ტვირთისა და მისცა მათ რკინის მაშინების ხელები. მან გაშალა კაცის თავზე ლაჟვარდი კარავი და აჩვენა კაცის თვალს იმგვარი სივრცე სიღრმენი, რომლებიც მას ვერც კი წარმოედგინა. მან ნება მისცა კაცს ჩაეხედნა წყლის სულ მცირე წვეთშიც კი და დაენახნა შიგ ცოცხალი არსებანი, რათა გვაჩვენოს, რომ ყოველივე მას უპყრია ხელში.

ქრისტიანს უნდა ახარებდეს ასეთი წინსვლა საბუნების-მეტყველო მეცნიერებისა; ის უნდა მადლობდეს ღმერთს, რომელიც მეცნიერების და ცხოვრების ახალ აღმოჩენებში ასე საკვირველად აცხადებს მზრუნველობას ჩვენზე; ვისაც არ მოსწონს ბუნების მეცნიერების წინსვლა და შურით უცქერის მას, ის უარყოფს

ყოვლად შემძლებლობას. მეცნიერება ღვთის ხელში არის საშუალება კაცთა ნათესავის კეთილდღეობისა, ერთა შეერთებისა და სასუფევლის გავრცელებისთვის.

II.

განხეთქილება მეცნიერებასა და ქრისტიანობას შორის.

პირდაპირ შევხედოთ ჩვენი დროის დიადს წინსვლას! მაგრამ, რადგანაც აწინდელი კულტურის წინსვლას ჩრდილიანი მხარეებიცა აქვს, ვეცადნეთ, რომ ჩვენი ქება-დიდება ცალმხრივი არ გამოვიდეს. ბუნების ძალთა შესწავლამ ზოგიერთნი ისე გაიტაცა, რომ შესუსტდა სულიერს ცხოვრებაზე ზრუნვა. ერთი პროფესორი, თანამედროვე ცხოვრების კარგა მცოდნე ამბობს: „ჩვენ იმდენად დავიუფლეთ ბუნება, რომ უწინდელებს ეს ზღაპარი ეგონებოდათ; მაგრამ მაშინ, როცა ჩვენ გარეგანად გავიმარჯვეთ ნივთებზე, მათმა მექანიზმმა შინაგნად დაგვიფლო ჩვენ და დაიპყრა ყველა ჩვენი დამოკიდებულებანი.“ მართლაც, და ბევრისთვის ბუნება გახდა რაღაც თაყვანის საცემ კერპად. ლმერთი, სული, უკვდავება აიგდეს საცინლად, როგორც საბავშო ზღაპრები. ამასთან ერთად ზნეობრივი ცხოვრებაც ჰკარგავს თავის საფუძველს და ღირსებას. ბევრმა ზურგი შეაქცია ქრისტიანობას, თითქოს ის მართლა ძლეულ იყოს მეცნიერებისგან.

რისგან მოხდა ეს განხეთქილება ქრისტიანობასა და საბუნების-მეტყველო მეცნიერებას შუა? თუ საგანს ისტორიული მხრით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ამაში ორთავენი არიან დამნაშავენი: ქრისტიანობისა და ბუნების მეტყველების წარმომადგენელნიც. ეკლესია ხშირად აბრკოლებდა საბუნების-მეტყველო მეცნიერების განვითარებას და ამის გამო მრავალთა შორის ფეხი მოიკიდა იმ აზრმა, რომ იგი ვერ რიგდება მეცნიერებასთანაო. მწუხარებით თუნდა გავიხსენოთ ის არა ქრისტიანული მიპყრობა და ზოძები, რომლებიც ეკლესიამ იხმარა ზოგიერთ დიდბუნების მეტყველთა და ფილოსოფოსთა შესახებ. გალილეის, ჯორდანო ბრუნოს და სხვათა ისტორია ღრმა ცთომილების სახსოვარია. ამგვარი სასტიკი მოპყრობა აიხსნება მითი, რომ მაშინდელს თეოლოგებ-ღვთისმეტყველებს საღვთოწერილი წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც უცთომელი სახელმძღვანელო წიგნი ბუნების შესასწავლად, ამიტომ დიდ წინააღმდეგობად მიანჩნდათ სწავლა შესახებ იმისა, რომ დედამიწა ტრიალებს და მზე კი სდგას, რომ დედამიწა არის რგვალი სფერის მსგავსი და არა ბრტყელი. ეს ღვთისმეტყველები ეძებდნენ საღვთო წერილში იმას, რაც მაში არ იყო. დაბადება მოგვითხრობს დედამიწისა და ცის მნათობების შესახებ უბრალო მხედველობის, გრძნობის ენით, ე. ი. ისე, როგორც საგნები წარმოუდგება ჩვენს თვალს,—ხედავდა შექმნათა წიგნის დამწერი, რომ მზე ჩადის და ამოდის დედამიწა კი სდგას და დასწერა დედამიწა სდგასო, მზე კი იძვრისო. მოსე წინასწარმეტყველს სულ არა ჰქონია მიზნად მოეცა ასტრონომიული და გეოგრაფიული ცნობები.

საბუნების-მეტყველო მეცნიერებიც დამნაშავენი არიან ზემოხსენებულ ცრუ მორწმუნეობის გავრცელებაში. ბევრმა მათგანმა ათეიზმი და მატერიალიზმი აწინდელ მეცნიერების აუცილებელ შედეგად გამოაცხადა; სწორედ გასაკვირველია ზოგიერთ მეცნიერთა საქციელი ქრისტიანობის და სარწმუნოების შესახებ. სპეციალურ სამეცნიერო საკითხებს ისინი იკვლევენ მეთოდიურად, გულდადებით, სიფრთხილით და მხოლოდ ამ გვარ მეცადინეობის შემდეგ აქვეყნებენ თავისს აზრებს და დასკვნას ამა თუ იმ საკითხის შესახებ; მაგრამ თუ საქმე მიდგა სარწმუნოების საგნებზე, ისინი არ დაგიდევენ არაგვარ კრიტიკულ გამოკვლევას, სიფთხილეს, მეცნიერულ წინდახედულობას და სულ უცნაურ და საკვირველ აზრებს ავვრცელებენ ხოლმე. ამისი მაგალითია გეკკელი. მან მოისურვა შეესუსტებინა სინამდვილე ჩვენს სახარებებში მოთხრობილ ამბებისა, რომლებიც პირველ საუკუნეშია დაწერილი და თავისი უსაბუთო აზრის დასამტკიცებლად მოიყვანა ურიებისგან მეცამეტე საუკუნეში შეთ-

ხზული ზღაპარი. მაგრამ, ღვთის წყალობა გაქვს, კაი პასუხი იმან მალე მიიღო. „მე ვკითხულობდი ამ წიგნს (გეკკელის წიგნს „მსოფლიო გამოცანეები“) და სირცხვილისაგან ვიწვებოდი. საშინელებაა, რომ შესაძლებელი ყოფილა ამისთანა წიგნის დაწერა, დაბეჭდვა, ყიდვა, წაკითხვა, რომ მან გამოიწვია გაკვირვება და ნდობაც კი,“ ამბობს პაულსენი. გეკკელმა ამ კრიტიკაზე კრინტი არ დასძრა. საკვირველი კიდევ ისაა, რომ მეტი ნაწილი ბუნებისმეტყველთა სარწმუნოების შესახებ იმავე აზრისანი არიან, რომლებიც გაბატონებული იყვნენ მეთვრამეტე საუკუნეში. მათი აზრით სარწმუნოება არის მღვდლებისგან გამოგონილი სიცრუე ძალიან გამოსაყენებელი უსწავლელ ხალხთა დასაბრიყვებლად. ამ სწავლულებისთვის სულ უცნობია ის დიდი ნაბიჯი, რომელიც წადგა წინ საღვთისმეტყველო მეცნიერებამ სარწმუნოების ისტორიაში. ამ ორმოცოდე წლის წინად კიდევ ეგონით, რომ არიან ურწმუნოები (ურელიგიო) ერები, რომ სარწმუნოება სპეციალური მოვლინებაა შეთხზულ-გამოგონილი ზოგიერთ საზოგიდოებრივ მიზნთა მისაღწევად. ეხლა კი ეს შეუძლებელი გახდა. მეცნიერებამ სცნო სარწმუნოება კაცის ბუნების არსებით თვისებად. რატცელი ამბობს თავის ეტნოგრაფიაში: „ეტნოგრაფია არ იცნობს უსარწმუნოებო (ურელიგიო) ერებს“. თუ სარწმუნოებრივს ლტოლვილებას საფუძველი აქვს კაცის ბუნებაში, ცხადია, რომ უიმედოთ უნდა ჩაითვალოს ცდა სარწმუნოების მეცნიერებად შეცვლისა.

უწინ დარვინი მედიდურად ეპყრობოდა სარწმუნოებას. ქვეყნის გარშემო მოგზაურობის დროს მან გაიცნო ცეცხლოვან კუნძულის მცხოვრებნი (სამხრეთ ამერიკის ნაპირებზე), რომლებიც თითქმის განხორციელებულ ქაჯებად აღწერა. მას არ უნდოდა ეს საცოდავები ეცნა ადამიანებად, თავის ძმებად, ჰფიქრობდა, რომ ისინი მხეცებთან უფრო ახლო არიან, ვიდრე ადამიანთან, მათი ლუღლუღი ენად არც კი ჩათვალა; შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მათ ჰქონდათ ოცდა ათი ათასი სიტყვა, მაშინ, როცა შექსპირისთვის ათი ათასი სიტყვა საკმარისი იყო უკვდავ თხზულების დასაწერად. რავდენიმე ხნის შემდეგ დარვინმა კიდევ ნახა ცეცხლოვანი კუნძულის მცხოვრებნი, მაგრამ უკვე გაქრისტიანებულნი. განცვიფრებულმა თითქმის დაუჯერებელ გარდაქმნით, მან ეს გამარჯვება აშკარად მიაწერა საქრისტიანო მისიის გავლენას, შესაფერად მოიხსენა ის მოგზაურები, რომლებმაც ეს ვერ შენიშნეს, ან დაავიწყდათ და ყოველ წლივ ეხმარებოდა მისსიას შეწირულობით. თანამედროვე ბუნების მეცნიერნიც, რომ ესრე პატიოსნად ექცეოდნენ სარწმუნოების საგნებს, დიდი ნაბიჯი იქნებოდა წადგმული წინ ქრისტიანობის და ბუნებისმეტყველების შესარიგებლად.

ნაცარყანელი.

(გაგრძელება იქნება).



ზნეობრივი გადაგვარება.

(დასასრული*).

„ყოველსა, რომელსა აქვნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქვნდეს, და რომელი იგი აქვნდეს, მოვეყოს მისგან (მტ. თ. 25, მ. 29)

იესო ქრისტემ, აუხნა რა თავის მოწაფეებს მათი დანიშნულება ამ ქვეყანაში, უთხრა მათ: „თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა“ (მათ. ნ0 13 მ.). როგორც მოგეხსენებათ, მარილი იხმარება საჭმელში გემოს მისაცემად და გაფუჭებისაგან შესანახათ. უმარილოთ საუკეთესო საჭმლებსაც არ აქვს გემო და, რაც უნდა ახალი სანოვაგე იყოს, ადრე ლპება. და აი ქრისტეს სიტყვით რაც მარილია საჭმლისათვის, ის უნდა იყოს სახარება ცხოვრებისათვის, ხოლო მისი მიმდევარნი კი — კაცობრიობისათვის. არსებითი გაუმჯობესობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ის მთლად გაიმსჭვალება სახარების სიმართლის და სიყვარულის სულით. ჩვენი მუდმივი ფიქრების და წმინდა ოცნებათა განხორციელება საერთო ბედნიერებაზე არ შეიძლება ისე, თუ

*) იხ. „შინაური საქ.“ № 1.

განუწყვეტლად და დაუღალავად არ ვიმუშავებთ, როგორც თვით ჩვენში, ისე მოყვსის გულშიაც ღვთის სასუფევლის დამყარების შესახებ. თუ ეს პირობები არ იქნა დაცული კაცობრიობის ცხოვრებაში, ისე ცივილიზაციის წარმატება იქნება მხოლოდ მოჩვენებითი, უმნიშვნელო, და არა ნამდვილი, მკვიდრი და დაურღვეველი. ამაში ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე მწარე გამოცდილებით გვარწმუნებს ჩვენ.

დაფიქრებულხართ როდისმე ასეთ აზრზე, რამდენი საუცხოო ქვეყანაა დედამიწაზე მშვენიერი ბუნებით, მადლიანი ჰავით, ნაყოფიერი ნიადაგით, გეგონებათ, რომ აქ ღმერთს ყველაფერი შეუქნია მხიარული და ბედნიერი ცხოვრებისათვის, მაგრამ აქაც, როგორც ყოველგან, იღვრება ცრემლები, ისმის გმინვა-კვნესა და ცხოვრების წყევა-კრულვა! როგორ გასაოცარი სისწრაფით გავითარდა ცხოვრების ყოველგვარი მოწყობილებები, მაგრამ ამით ბედნიერება არც დაგვიახლოვდა და არც უფრო მისაწვდომი გახდა. შოპენგაუერის და გარტმანის ფილოსოფია, რომელიც ასწავლის, რომ ცხოვრება ბოროტებაა და სიკვდილი კი უმაღლესი სიკეთე—ამ საუკუნის ნაყოფია. რისთვისაა ეს ასე? ჩვენ ხელთ გვაქვს მრავალი სხვა და სხვა საშუალებები ადამიანისათვის ბედნიერების მოსაწყობად და რაღა გვაკლია კიდევ?

გვაკლია რაც უმთავრესია, გვაკლია ის, რასაც ქრისტე უწოდებს „ქვეყნის მარილს"; გვაკლია ადამიანებს სახარების სიყვარული და სიმართლე. უამისოდ კი ცხოვრება ქვეყნის სატახტო ქალაქებში და მდიდრულად მორთულ დარბაზებშიაც უფრო უბედურია, ვინემ ბედუინების ტალაკასებში და ესკიმოსების ალაჩუხში. (აქ) ცხოვრების მოწყობილება, რასაკვირველია, მეტი იქნება, მაგრამ ბედნიერებას ის მაინც ვერ მოგვცემს.

წაიკითხეთ ედმ. ამიჩიჩის „მაროკკოს ალწერილიდან" საინტერესო გვერდი.—„ღღეს ამბობს ავტორი,—მქონდა ცხარე საუბარი ზანგ ვაჭართან. დავუწყე კამათი, მინდოდა შემეტყო, თუ რა აზრის იყო ის ჩვენ ცივილიზაციაზე, რადგანაც ის ბევრს მოგზაურობდა და შემთხვევა ქონდა პირადი დაახლოებით გეეცნო ის. რას იტყვით ჩვენ დიდ ქალაქებზე? ვკითხე მე. იმან დაკვირვებით შემომხედა და ცივად მიპასუხა: რას ვიტყვი?... დიდი ქუჩებია, მალაზიები და სასახლეები. ყველაფერი წმინდათ არის მოწყობილი. განა სხვა არაფერი არის კარგი? მოუთმენლად ვკითხე მე. ნუ თუ არ გაგაოცა თქვენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უპირატესობამ თქვენსაზე? მაშ, ამას შემდეგ რითი უნდა გაგაკვირვოთ? ნუ ცხარობთ, მომიგო მოსაუბრემ—რაში მდგომარეობს თქვენი უპირატესობა? პატიოსნებაში თუ? მაგრამ ეს ხომ ტყუილია. ჩვენ თქვენზე უფრო პატიოსნები ვართ. მართალია ხან-და ხან ზანგები ატყუებენ ევროპიელებს, მაგრამ ევროპიელები ყოველთვის ატყუებენ მათ. მაშინ ჩამოვუგდე ამბავი ჩვენი ცხოვრების მოწყობილებაზე. „დიახ, ვიცი! გაიცინა ზანგმა. მართლა ამაში კი თქვენ ნამდვილ დახელოვნებულნი ხართ. აქ იმან დაიწყო დაკინვის კილოთი ჩამოთვლა: მზეში—ქოლგა; წვიმაში—ქოლგა; მტვერში—ხელთათმანი; სიარულის დროს—პატარა ჯოხი; სამზერად—სათვალები; თითი აგტკივდებათ—ექიმი, მოკვდებით—ძეგლი... რამდენი საგნებია, რომელთაც თქვენ ვერ მოსცილდებით. რა ადიმიანები ხართ თქვენ? თქვენ სწორეთ მოზრდილი ბავშები ხართ!... არა,—მე არ გაგიცვლი თქვენ ჩემ მდგომარეობას, ცხოვრების მოწყობილება თქვენ მეტი გაქვთ, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენზე უფრო უბედური ხართ".

მერმე მიაპყარით თქვენი ყურადღება შემდეგ შედარებას. წითელ-კანიან ინდოელებს საიქაო ცხოვრება წარმოდგენილი აქვთ, როგორც საიქაო ცხოვრების გაგრძელება. იმათ სწამთ, რომ დიდი სული გადაიტანს იმათ ნადირით სავსე ველ-მინდვრებში. აგრეთვე ახალი ზელანდიის მეომარ მოარებს სიკვდილის შემდეგ ცხოვრება წარმოდგენილი აქვთ, როგორც შეუწყვეტელ ომიანობათა მთელი რიგი, რომელშიდაც იმარჯვებენ ყოველთვის ნეტარნი. ძველ გერმანელებსაც ასეთი იმედი ქონდათ. ეს მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ ხსენებულნი ხალხნი, ჩვენთან შედარებით კულტურის უფრო დაბალ საფეხურზე მყოფნი, უფრო კმაყოფილნი იყვნენ თავის ცხოვრებით. იმათ საიქაო ქვე-

ყანა, რომელიც სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხებს სხვა და სხვა საუკეთესო ფერად ქონიათ დახატული, წარმოდგენილი ქონიათ, როგორც გაუმჯობესებული და სრული გაგრძელება ამ ქვეყნიური ცხოვრებისა. ეხლა ვკითხოთ თავის თავს, დავკმაყოფილდებით ჩვენ საიქაოს აქაური გაუმჯობესებული ცხოვრებით?! ისურვებს მაგ., მუშა წარმოიდგინოს საიქაო ცხოვრება ერთ დაუბოლოვებელ გძელ საქსოვად; ჯარის კაცი--გაუთავებელ ომიანობად, აღლუმებად და პარადებად. მოხელე--როგორც უსაზღვრო დეპერატამენტად, ვაჭარი—დიდ მაღაზიებად და საქონლების საწყობად?

განა ყველა ეს არ გვეუბნება მჭერმეტყველურად და ნათლად, რომ თანამედროვე ცივილიზაციის წარმატება-განვითარება დამყარებულია ეკონომიურ მატერიალიზმის საფუძველზე და აძლევს ადამიანს უმთავრესად ცხოვრების ადვილად მოწყობის საშუალებას, და მარტო ის ადამიანს ვერ შეუქნის ნათელს და სასიამოვნო ცხოვრებას, თუ ადამიანი ზნეობრივად არ გადაიბადა, და თუ საზოგადოება არ მოეწყო სახარების სიყვარულის და სიმართლის ნიადაგზე? თვინიერ სახარების სწავლისა ცხოვრება ისეთივე იქნება, როგორიც არის საჰმელი უმარილოდ, არ შეუძლია ქონდეს ჩვენი ხასიათის დამაკმაყოფილებელი „გემო“,—ის აუცილებლად წახდება, გაიხრწნება და დაეცემა. და როგორ ავიცილებთ ამას, თუ უარს ვყოფთ ცხონებას, რომელიც გვიქადაგა ქრისტე უფალმა? როგორ შევიტანთ სიკეთეს გარყვნილების და მცონარეობის ქვეყანაში, როგორ შევიტანთ სიყვარულს თავმოყვარეობის ქვეყანაში და ჭეშმარიტების შუქს—ბოროტების და უსამართლობის ქვეყანაში, თუ თითონ ჩვენ არ გვაქვს იგი ნი, თუ სავსებით არ გვესმის იმათი აზრი და არ განვიცდით თავის თავზე იმათი სიდიადის მომხიბლაობას? ჭეშმარიტების, სიკეთის და სიყვარულის გრძნობა და ცნობა კი შეიძლება მხოლოდ სახარების კითხვით და შესწავლით, ესე იგი ქრისტეს გაცნობით. „იცანით ჭეშმარიტება,—ამბობს იესო ქრისტე,—და ჭეშმარიტება განგათავისუფლებს თქვენ“.

ე. ჩ—ძე.

პირველი ფურცელი გიბლიისა.

(პროფ. ბეტეკსისა)

(გაგრძელება*)

მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

და სთქვა ღმერთმან: იქმნენიდ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქვეყანისა, განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა და იყვნედ სასწაულებად, ჟამებად და დღეებად და წელიწადებად და იყვნენ განმანათლებლად სამყაროსა ცისასა, რათა ნათობდენ ქვეყანასა ზედა და იქმნა ეგრეთ, და შექმნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი: მნათობი დიდი მფლობელად დღისა და მნათობი უმრწმესი მფლობელად ღამისა და ვარსკვლავები. და დასხნა იგინი ღმერთმან სამყაროსა ცისასა: რათა მნათობდენ ქვეყანასა ზედა და მთავრობდენ დღესა და ღამესა და განაწვალებდენ შორის ნათლისა და შორის ბნელისა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ და იქმნა მწუხრი ღა იქნა განთიად დღე მეოთხე.

წელან დავინახეთ, რომ პირველი მცენარეები, რომლების ნაშთსაც ვხედავთ დღეს ქვანახშირის სახით, აღმოსცენდა წინეთ, ვიდრე მზე გაანათებდა დედამიწას, ე-ი სხვა სინათლის ქვეშ, რომელიც შეიცავდა დედამიწას თანასწორ-ზომიერად. საიდან გამომდინარნობს ეს სინათლე, ვერ ავხსნით; და აქაც, როგორც ასობით სხვა შემთხვევებშიაც, ჭეშმარიტად ბრძენი ამბობს: „არ ვიცი“.

მაგრამ ეს კი ვიცით, რომ რაოდენიმე ხნის შემდეგ, შეაქმის მოეთხე დღეს პირველად გამობრწყინდა ცაზე ორი მნათობი, რომელთაგან ერთი მართავს დღეს, მეორე კი ღამეს და რომლებსაც ვხმარობთ დროთა გასაყოფად. მარტოდ ეს დიდ-მნიშვნელოვანი დანიშნულებაა, რადგანაც ჩვენი უკეთესი ხრონომეტრებიც (დროს საზომი) ვერ აღგვინიშნავდა დიდი ხნის განმავლობაში დროს სისწორით; მხოლოდ ცის სხეულნი წარმოადგენენ ღამის

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 3.

სრულიად საიმედო საზომს, რომელიც არასოდეს უკან არ რჩება და არც ჩქარობს ერთი წუთით, ერთი წამითაც. უმათოდ საშინლად აირ-დაირეოდა დროთა განსაზღვრა, უმათოდ ადამიანი ვერც შეიძლებდა დროის განსაზღვრასა და გაყოფას, რადგანაც იმათგან არის დამოკიდებული გაყოფა დროსი დღედ და ღამედ, თვეებად და წელიწადებად. დროთა განუსაზღვრელად და გაუყოფელად კი რაოდენადმე მაინც განწესრიგებული კაცობრივი ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა აი რისთვის მთელს საღმრთო წერილში, ქვეყნის შექმნიდან დაწყებული, სჯულსა და წინასწარმეტყველებში, იოანე ღვთის-მეტყველის გამოცხადებითურთ, დროთა და ჟამთ აკუთვნებენ ჩვენთვის ჯერ კიდევ აუხსნელს დიადს მნიშვნელობას. გავიხსენოთ მხოლოდ სიტყვა: „ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთა“; სიტყვა ქრისტესი: „არღა მოწევნულ არს ჟამი ჩემი“, და მრავალი ადგილი გამოცხადებიდან, როგორც მაგალითად, 12, 14; 10, 6 და სხვა მრავალი.

ამ გვარად მზე, მთვარე და ვარსკვლავები არსებობენ, რათა გვინათონ და დრო გავიყონ. მაგრამ დიდი შეცთომა იქნება, ვიფიქროთ, რომ ამაშია მთელი მათი მნიშვნელობა. ეს იგივე იქნებოდა, რაც, გლახაკი რომ ღებულობდეს ყოველ დღე გამვლელ მეფისგან მოწყალებას და განიზრახოს, რომ ამისთვის მხოლოდ არსებობს მეფე ქვეყნად და სხვა მიზანი არა აქვს.

არა, ეს ძლიერნი ქმნილებანი ღვთისა ჩვენთვის მხოლოდ კი არ არსებობენ, არამედ ღვთისა სადიდებლადაც; იგინი მიუთხრობენ დიდებასა მისსა და გარდა ამისა ასრულებენ კიდევ სხვას, ჩვენთვის უცნობს, დანიშნულებებს. ასე, მზე მარტოდ პატარა დედამიწას არ ანათებს, არამედ კიდევ ორასზე მეტს პლანეტას, მათს რიცხვში დიდ-მშვენიერს დიას (იუპიტერს) მისი ოთხ თანამგზავრიანად და ღრუბლოკან კრონოსს (სატურნს) რვა თანამგზავრიანად, რომელთაგან პირველი 1400 მეტია ჩვენს დედამიწაზე. მზე გარდა იმისა, რომ ანათებს ცის ამ სხეულებს, აიძულებს კიდევ ყველა ამათ თავის ძლიერ მიმზიდველობით იტრიალონ მზის გარშემო, როგორც საერთო შუაგულისა და შეუყენებლად მიაქროლებს მათ განუსაზღვრელ ვარსკვლავიან სივრცეში.

საღმრთო წერილი რომ, კაცობრიულ თვალთსაზრისზე მდგომარე, აზესა და მთვარეს მთავარ მნათობებად იხსენიებს და ვარსკვლავებს კი მხოლოდ გაკვრით ეხება, ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგებია. უცთომელ დაკვირვებით და გამოანგარიშებით ვიცით, რომ მთვარე მრავალ ათასჯერ ნაკლებია ცაზე ბრწყინავ უნძრავ ვარსკვლავებზე და რომ მას მზესთან შედარებით, რომელიც მილიონჯერ მეტია მაზე, ფრიად დამოკიდებული და უმნიშვნელო ალაგი უჭირავს მზის კრებულში. მაგრამ ღმერთმან თავისი სიტყვა მთელს კაცობრიობას მისცა; კაცობრიობას კი მხოლოდ რაოდენიმე ათას ნასწავლ და განათლებულ ადამიანების ჯგუფი არ შეადგენს; კაცობრიობაა მილიონნი ლუკმა პურის ოფლით თვისით მომმოვებელთა, რომელთაც არაფერი იციან ვარსკვლავ-მრიცხველობისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესახებ, მაგრამ ღვთის მამობრიულ გულთან იმდენადვე, თუ არა უფრო, დაახლოვებულნი არიან, ვიდრე ზოგი დიდი სწავლული. როდესაც ღმერთს ნებავს ელაპარაკოს ყველა ამ ბავშვებს, ელაპარაკება მათ გასაგებად, მარტივად, ჩვეულებრივის კაცობრიულ ენით, ასე, რომ მათ ესმესთ მისი. საყვედური, რომ ბიბლია არ ლაპარაკობს სამეცნიერო ენაზე, ყველა საყვედურზე უფრო უსაფუძვლოა. ბიბლია რომ „მეცნიერულად“ ლაპარაკობდეს,—რას მისცემდა მილიონობით მეცნიერულად განუვითარებელ ადამიანებს?

დედამიწა (ანუ პლანეტები), მზე და მთვარე—ეს სამი მთავარი სახეა ცის სხეულთა მსოფლიოში... მზე მარტო ერთი არ არის: მილლიონობით უძრავი ვარსკვლავები, მხოლოდ დიდ დურბინდების შემწეობით დასანახები, ისეთივე მზეებია, იმდენადვე დიდები, ბევრნი კი ჩვენს მზეზე უდიდესნი, იმდენადვე მკხინვარენი და უმცხინვარესნიც; გვეჩვენებიან იგინი ასე პატარებად, რადგანაც დიდ მანძილით დაშორებულნი არიან ჩვენგან. ჩვენი მზის გარშემო

მარტო ერთი პლანეტა—ჩვენი დედამიწა არ ტრიალებს. მას გარშემო უვლის კიდევ 200 სხვა „დედამიწა“—ზოგი უფრო დიდი, ვიდრე ჩვენი, ზოგიც თითქმის ვირტემბერგის საკოროლოზე ნაკლები; ბევრზე, ჩვენი დედამიწის მსგავსად, არის ჰაერი და წყალი, დღე-ღამის და წელიწადის დროთა ცვლილება, ქარი და ღრუბელი, ხეელეთი და ზღვები, მთები და ვაკეები და თითქმის თოვლი და ყინული. არიან თუ არა იქ ცხოველი არსებანი, მცენარეები, პიროტყვები და უმაღლესი მოაზრე არსებანიც—ადარ ვიცით და რასაკვირველია ვერასოდეს ვერ გავიგებთ ამ ქვეყნად, გარნა მხოლოდ ახალ ქვეყანაზე. ამ გვარადვე ჩვენი თანამგზავრი—მთვარეც ერთად ერთი არ არის ცაზე: სხვა პლანეტებსაც ჰყავთ თავიანთი მთვარეები—ერთს ორი, მეორეს ოთხი; თითქმის ექვს-ექვსი და რვა-რვაც. ასე რომ, ღამეები იქ საუცხოოდ განათებულია; ყველა ეს მთვარეები უფრო პატარებია, ვიდრე მათი დედამიწა რომლის გარშემოც ტრიალებენ. ამგვარად, სამი მთავარი ტიპია ცის სხეულთა, რომელნიც შექმნა ღმერთმან,—ეს არის დედამიწის, მთვარის და მზისა. რა ნაირია სახე დედამიწის ზედაპირისა,—ვიცით საკუთარ დაკვირვებათაგან; თუ რა ხდება მთვარეებზე, და თავდაპირველად ჩვენსაზე,—ამაზე კი ცოტა რამე. გაცივებული, მკვდარ-გაშეშებული, მაღალ და კლდოვან ნაპირებით დაფენილი, ჯაშლილია მთვარის ზედაპირი მთელ თავის ვეებერთელა სივრცეზე; არ მოიპოვება მაზე არც ზღვა, არც ტბა არცა ტყე. ამ მთების სიმაღლეს ვარსკვლავ-მრიცხველნი ზომავენ მათი ჩრდილის შემწეობით. მთვარის მთების მრავალი მწვერვალი 20,000 ფუტამდე აღწევს, ე—ი. ბევრად მაღალია მონბლანზე—ევროპის უმაღლეს მწვერვალზე. ამ ხოსურ ქვიან, დიდრონ და მკვეთრ ნაკვეთებიან სურათზე მზე ჰფენს თავის მცხინვარე, გაუნელებელ სინათლეს. რადგანაც მთვარეს არა აქვს ატმოსფერა, რომელიც მისცა ღმერთმა დედამიწას მეორე დღეს, ამისთვის მთვარეზე ცა ტრედის ფრად კი არ მოჰსჩანს, არამედ სრულიად შავად და ამ ბნელ ნიადაგზე გამოჰკვეთს მზე მოუთმენელ სიმცხინვარით და თორმეტ საათს კი არა, როგორც ჩვენშია, არამედ მთელი თოთხმეტი დღე განუწყვეტლივ აყენებს იგი ტიტველ კლდეებს ცხარე პაპანაქებას, რომელშიაც ადვილ-სადნობი ლითონები დადნებოდა კიდევაც. მთვარეზე დღისით ძზისით კაშკაშებენ ვარსკვლავნი მზის გვერდით უფრო მცხინვარედ, ვიდრე ჩვენსას ღამით, რადგანაც იქ არ არის ჰაერი, რომ შეაყენოს და დაარბილოს მათი სხივები. როდესაც მზე თოთხმეტ დღიან „დღის“ შემდეგ დაბოლოს ჩადის, მთვარის ვაკეებს სწრაფად, და არა თან და თან, უჰაერობისაგამო,—ეფინება წყვდიადი, მაშინ როცა მთათა მწვერვალნი კიდევ რაოდენიმე ჟამი მცხინვარედ განათებულნი არიან. შემდეგ, იქ რომ ვიყოთ, დავინახავდით ჩასულ მზის ნაცვლად,—ადმოსავლეთისკენ ამომავალ დედამიწას საუცხოოდ შვენიერ ბრწყინვალებით. დედამიწა იქ 15 ჯერ უფრო დიდათ მოსჩანს, ვიდრე ჩვენ მიერ ხილული მთვარის დისკო; იმისი ხმელეთი, ზღვები, ღრუბლები, ყინულთა საუნჯენი პოლიუსებთან ბრწყინვალე და ბნელ ხალებით ასურათებენ მის ზედაპირს ისე, როგორც ვხედავთ ხოლმე ჩვენს მთვარეზე. ამინდის ანუ წელიწადის დროთა ცვლილება მთვარეზე ადარ ხდება. მთელის საუკუნობით მოგზაურობს იგი სივრცეში უცვლელად, გაცივებული და უსიცოცხლო; იყო, თუ არა იგი როდისმე დაშენებული და გაცხოველებული—არ ვიცით. რავდენადაც ვიცით ასეთივე ნიშნები ახასიათებს სხვა მთვარეებსაც, მაგალითად, თანამგზავრებს დიასი.

სულ სხვაა მზეზე. თუ მთვარე სიკვდილის სამეფოა, მზე, რასაკვირველია, სამეფოა სიცოცხლისა, ძალისა, ცეცხლის ენერგიისა, რომელთაც გაჰირვებით ვიმეცნებთ. თუმცა მზე მილიონჯერ უდიდესია ჩვენს დედამიწაზე, მაგრამ გვეჩვენება მთვარესავით პატარად, რადგანაც მთვარეზე 400 ჯერ უმეტესად დაშორებულია ჩვენგან; ეს უზარმაზარი ქვეყანა გამდნარ ლითონთა ნამდვილი ცეცხლის ოკეანეა, მრავალ ათასი მილი სიმაღლის ალში გახვეული. იქაური სიცხე წარმოუდგენელად ძლიერია და დაიზომება თითქმის ასი ათას გრადუ-

სობით (წინააღმდეგ შემთხვევაში მზე ვერ გაათბობდა ეგზომ სიშორიდან დედამიწას და მაზედ მცხოვრებთ), და მასში რომ ჩვენი პატარა დედამიწა ჩაიგდოს, მხოლოდ სუსტ აფეთქებას გამოიწვევს, ისე როგორც, სანთლის პატარა ბურთი რომ დააგდო სასამზარეულო კერაზე,—და ერთ წამს გაქრება ყველაფრიანად, რაც კი არის მაზე. ძლიერ დურბინდში შეგიძლიათ დაინახოთ, თუ როგორ ამ ვეებერთელა ბურთის შიგნიდან დროთი დრო ავარდება უზარმაზარი სვეტები რაოდენიმე ათას მილის სიმაღლეზე; ცოტა ხნის შემდეგ ეს სვეტები უკანვე ვარდება ცეცხლის ზღვაში და ცეცხლის ტალღებში ჩნდება ვებერთელა ღრმა ძაბრები, რომლებიც მათვალიერებელს უფრო ბნელ ალაგებად ეჩვენება. ეს არის ეგრეთ წოდებული მზის ხალები.

და ვარსკვლავნიც, წყნარად ცაზე მოციმციმენი, ყველანი ისეთივე მზენი არიან, ისეთივე ცეცხლის ქვეყნები, მრავალი მათგანი მაზე უფრო დიდია, ცხელი და მცხინვარე. ასე, მაგალითად, სირიუსი, ახალ გამოკვლევით, ყველაზე უმცხინვარესი ვარსკვლავი ცნობილ „იაკობის კვერთხის“ ქვეშ, თავის სიმცხინვარით 5000 ჯერ აღემატება ჩვენის მზის სინათლეს. წარმოიდგინეთ ასეთი მნათობი ჩვენს ცაზე! რასაკვირველია, მაშინვე დავიღუპებოდით დაბრმავებულნი და შემწვარნი. სხვანი ნაკლებ მცხინვარენი არიან, გაცივებულად მოსჩანან, წითელ სინათლეს უშვებენ; ზოგნი მოსჩანან ლურჯად, მწვანედ, მეწამულად და ანუ ნელიად იცვლიან ფერს. შემდეგ არიან კიდევ ესრეთ წოდებულნი ცვალებადნი ვარსკვლავნი; ესენი არიან, მზენი რომელთაც წესიერად, მთელის კვიროობით, თვეობით უსუსტდებათ სინათლე და შემდეგ კვლავ გაბრწყინდებიან. შესაძლებელია, ეს იმისგან არის, რომ ერთი მხარე ამ ვარსკვლავთა დაფარულია ბნელ ხენჯით და ვარსკვლავი გვეჩვენება უფრო ბნელად მაშინ, როცა თვის ღერძის გარშემო წესიერ მიმოქცევაში ამ ხენჯიან მხარეს მოგვაქცევს. ზოგჯერ ორი, სამი, ოთხი მზე შეერთებულია „მზის ერთ ოჯახად“ და ლურჯსა, წვანეს და ოქროს ფერს მზეებს დაჰყავთ ერთს მეორის გარშემო საუცხოვო ფერხულნი თავიანთ პლანეტ-წყობისა. მაშასადამე, მათს პლანეტებზე ანუ დედამიწებზე ხან ლურჯი და ოქროსფერი და ხან მწვანე და წითელი დღეებია, ხოლო ღამეები იქ სხვა და სხვა ფერის მთვარეებით განათლებულია. ამაზე მეტიც: ზოგჯერ მზეთა რავდენიმე ოჯახი შეერთებულია ერთ დიდ დასად და ვარსკვლავთ-მრიცხველი აღტაცებით შეჰხარის მნათობთა ამგვარს აჭრელებულს გუნდს, რომელსაც ერთი დიდი თეთრი მზე მწყსის თითქო და მეთაურობს.

მმგრამ ვის შეუძლია გაიცნოს და აღრიცხოს სასწაულები, რომლებითაც ღმერთმა აღავსო ყველა თვისი ქვეყანა?

(და სინათლის ამ საკვირველ სამეფოებშიაც გვაგრძნობინებს თვისს მრისხანე მარჯვენას იგი, რომელიც ცეცხლ განამლვველ არს (ებრაელ. 12, 29).)

ცამეტჯერ უკვე ვარსკვლავ მრიცხველებმა დაინახეს, თუ ასეთი ვარსკვლავები როგორ უცებ აინთებოდა უჩვეულო ბრწყინვალებით, რაოდენიმე თვის განმავლობაში თანდათან ჰქრებოდა და რავდენიმე წლის შემდეგ სრულებით გაჰქრა. ვის შეუძლია, თუნდ ურწმუნოც იყოს, გაექცეს ამ დროს შთაბეჭდილებას, რომ ჩვენ შორიდან დავესწარით მთელი ქვეყნის ცეცხლში დაღუპვას. ოდესმე ცის სხვა სხეულების მცხოვრებნი, თუ ამგვარებზე საზოგადოდ შესაძლებელია ლაპარაკი, დაინახავენ შორეულს პატარა ვარსკვლავს—ჩვენს მზეს ჩვენი დედამიწიანად მცხინვარე მგზებარედ და საუკუნო ღამეში შემავალად (2 პეტრ. 3, 10).

მეორე მხრით შვიდჯერ უკვე ვარსკვლავთ მრიცხველნი ცისკიდის დღემდე ბნელ ალაგებზე ხედავდენ უცებ გამოჩინებულ სინათლის წერტილებს,-ახალ ვარსკვლავებს. ამ გვარად ჩვენც მოველით ამ, მზითა და მთვარით განათებულ დედა მიწის დაღუპვის შემდეგ,—ახალს დედამიწას. „და ქალაქსა მას არა უხმს მზე, ანუ მთვარე მნათობად, რამეთუ დიდებამან ღმერთისამან განანათლა იგი და სანთელი მისი არს კრავი იგი, და არა იყოს შენდა მზე ნათლად დღისა, არცა აღმოსავალი მთოვარისა განგანათლებდეს შენ

ღამესა, არამედ იყოს შენდა უფალი სათელ საუკუნე და ღმერთი დიდებად შენდა". (გამოცხ. 21, 23; ისაია 60, 19)

ანოფრე მწერი.

(შემდეგი იქნება).

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, *)

როგორც ლირიკოსი პოეტი.

(27 ივნისბ.1837—30 აგვ. 1907 წ.)

„ნეტა, ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის იქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა!..."

ილია ჭავჭავაძე.

როგორც ზეკითაც გვქონდა მოსსენებული, სამოცდან წლების საზოგადობრივი ძარღვის ცემა იხატებოდა ყმების გათავისუფლებასა და თვისი მამულის, უბედ-იღბლო საქართველოს თავ-დაგვიწყებულ სიყვარულში. ილია ჭავჭავაძის ლექსნი უმთავრესად ამ ორს უდიდეს საგანს ეხებოდა მთელი თვისი შინაარსით და, ამიტომაც, იმის ლექსებს ქონდა დიდი პუბლიცისტური და ფილოსოფიური მნიშვნელობა, რადგან ზნეობით და გონებით მიმინებულ ერს უღვიძებდა უკეთესი ცხოვრების იდეალებს და აქეზებდა ქართველთა საზოგადოებას საძოქმედოთ ამ კითხვების დაინტერესებით.

აი, ის ლექსნი, სადაც პოეტი მშრომელი ხალხის მდგომარეობას ხატავს წარსულსა და აწმყო ცხოვრებაში: „მესმის, მესმის....", „გუთნის დედა", „მუშა", პოემა „ჩრდილი", პოემა „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან", „პარიკა" და „პოეტი".

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხით ბორკილის ხმა მტკვრეთისა!

პატარა, მაგრამ გულწრფელად გამოთქმული ლექსია ჭაბუკი პოეტისა, თუმცა პოეტური შეგარა არის რა.

„მუშა"-ში პოეტი ასწერს მუშის ოჯელ დღიურ ტანჯვას, რომელიც გრძელდება მის სიკვდილამდე. მოკვდება „უღმრთო შრომაში" ისე, რომ „ჯალაბი მისი კერ დასსხმს მდულარე ცრემლსა". მეკურტნე მუშის ტანჯვის აღწერა ისე, როგორც ბლეშჩეკოვის მუშის აღწერაც მოკლებულია პოეტურ აღმავლობასა და წარმტაცი სურათებით დახატვას და ამ მხრით ორივე ლექსი ბევრად ჩამოუვარდება გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძეს". იდიალი მუშა მაინც კერძო, ინდივიდუალური შრომის წარმომადგენელია, მეკურტნე, რომელსაც სიკვდილი არათერი აქვს ეგრეთელ საქმარსნო მუშასთან, რომელიც თვისი შრომით ეწევა ფაბრიკაში კოლექტიური წარმოების დიდს უღელს. თუმცა მეკურტნის ოჯელ დღიური ტანჯული შრომა ჩვენშიაც საბრალულს იწვევს, მაგრამ რა ვქნათ, როგორ ვუშველოთ, სად არის მეკურტნის გამოხსნის იდეალი, რომელმაც უნდა აღგვძრას, გული აგვტოკოს და შეგწიროთ ჩვენი სიცოცხლეც ამ მეკურტნის კაბალნიერებას...

„გუთნის დედაში" პოეტი ჭეშმარიტებას ამბობს, რომ პირუტყვიათ დამონებული ადამიანი პირუტყვზე უფრო უბედურია და გუთნის დედა თვის ლაბას ეუბნება: „შენ კერ გაიგებ მეტეკელის ტანჯვას, როცა სიტყვასა მართალს გულში ვლავს!..."

ამ ლექსის დაწერის დროს ჩვენში ბატონ-ყმობა სუფევდა და უბედური მინა-ყმის ულელი, რა თქმა უნდა, ლაბას ულელზე „უფრო მძლი იყო". ამ გარემოებას კარგად სედავდა და გრძნობდა კიდეც მინა-ყმა და ამიტომაც ამბობს, რომ „სიმართლისთვის დაჩლუნგებული აქვს მჭრელი სმალი", ესე იგი, კერძოური უთქვამს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და დამუნჯებულია.

„ყაჩაღის ცხოვრებიდან" დაწერილი ეპიზოდის შინაარსი ეკეკლამ იცის და მას აქ აღარ მოვეკები. აქ, ამ პოემაში, ჭაბუკი იდეა უბრალოდ გამოსთქვამს თავის აზრს და, ამიტომაც, არც ხმარობს რიტორიკას და პოეზიაც მეტია, კიდრე სხვა ლექსებში. ოჯელი გულ-წრფელი გრძნობა გამოითქმის ძალიან უბრალოდ. სიფრანგეთის ერთი ერიტეკოსი ამბობს, რომ მწერლები უნდა ბაძავდენ ენის მხრივ უბრალო, მდაბიო ხალხსა, რადგან იგი

*) იხ. „შინ. საქ." № 4.

ოკეანეთის გურწრფელად გამოსატყვს ხოლმე თვის გრძნობებსო. ამგვარად ენა უნდა ემსგავსებოდეს, უახლოვდებოდეს უბრალო ადმოკვნესას და უბრალო ფესტებსო. პოეტში „რამდენიმე სურათი“ იდია ჭაჭანავეს ბუნების ალწერა უბრალო ენით აქვს გამოხატული. ეს ამტკიცებს იმას, რომ იდეას ძლიერ ღრმად ნაგრძნობი ექნებოდა ბავშობიდანვე მისი მშობელი კახეთის, „დიდი ალაზნის ჭალის“ მომხიბლველი ბუნება და ამ დიად გულწრფელ გრძნობას არ მიუცია იმისთვის ნება მიემართნა რიტორიკისთვის და სრულიად დაუმორჩილებია იმისი ენა. პოეტიკან აქ ამ ალწერას, რომლის მსგავსიც არსად სხვა მის ლექსებში არ არის:

„სამშობლოს ცისა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადეფარა,—
და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიწარა.
ღამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი
მთვარე მეფურად მძლავლად ვიდოდა,
მთებისა ყინვით სავეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საუკარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰსროდნენ,
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნავი მთისა მოლსენით
ტეგში ფოთლებთან ლაზღანდარობდა,
და ალაზანი შეუშოკარი
ჰხიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთავი მდუმარი
დაფიქრებული ეურს მიუშეროდა.
ეკალს ეძინა, დღით ჭფეთქვეს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!...
მხოლოდ ეი ერთგან ურემი მმიმე
მიჭრიალებდა გზას ალვიებდა,
და ნელიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე ა ის ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნალველს მაჭბერს დახაგრულს,
ეგე ჭერას კიდეც ვით ღრუბლის ქარი...“

ამ სურათით თქვენ თვალწინ დაიხატება შვენიერი ბუნება ალაზნის სკობისა, მუდრად მიმინებული, რომელსაც მთვარის შუქი ალერსიანად დაცქერის, თითქოს ტკბილ ნახს კუბნებსო. ამ შვენიერ სურათს შეაკესებს „ურემი, რომელიც მმიმედ მიჭრიალებდა“ და რომელზედაც მეურმე ნელიანად დაღუღუნებდა თვის მწუხარს სიმღერას! ჩანებული სურათია!

რასაკვირველია, ჭაბუკი პოეტი აქ შორს არის იდეალზე. უნდა სიმართლე ვთქვათ, რომ მისგან დახატული ეს სურათი არის მხოლოდ ბავშური, თუმცა გულწრფელი ცდა ხელოვნურად კახეთის დახატვისა. მართალია, ეს დახატული სურათი ალამიანზე შთაბეჭდილებას მოახდენს, მაგრამ არა ისეთს, როგორც შეეფერება ალაზნის მართლაც გასაოცარებელს ბუნებას. საზოგადოთ, დიადი კავკასიის უშვენიერეს, სამოთხისებურ ბუნებას ისე, როგორც შავს ზღვას ჩვენში ჯერ არ გამოუჩენია დიდი და ღირსეული ალმწერი, შესანიშნავი ტალანტის მქონი პოეტი. ამ მხრივ ყველა ჩვენ პოეტებზე მაღლა დგანან ალექსანდრე ჭაჭანავეძე და გრიგოლ ორბელიანი. მაგრამ ამ ნიჭიერმა პოეტებმა დაგვიტოვეს ტოტა ნაწარმოები.

იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენი საოცარი ბუნება ალზრდის თვის შესაფერს ალმწერს. ქართულ ლიტერატურას მოელის დიდი, უშვენიერესი და საკვირველი სურათები საქართველოს საკვირველი ბუნებისა, მოელიან დიადი პოეტები, ძლიერი ხელოვნური ტალანტის მქონი მგოსანნი, რომელთაც ჩვენი უშვენიერესი ბუნება ჩუდგამს სულს შემოქმედებისას და ძლიერის, საოცარის ხმებითაც ამღერებს.

„რამდენიმე სურათში“ არის კარგი ადგილები, პოეტში ამბავიც შინაარსიანია, ეს შინაარსიც დასრულებულია და რითმაც კარგად არის დაცული. მაგრამ თვით ამბავი კი ვერ არის ხელოვნურად დასტული. დიდი საინტერესო ადგილები სრულიად უბრალოთ, მშრალად არის ნაამბობი. იქ, სადაც მოქმედებაა და სადაც უნდა ემუშავა პოეტის ბაძლიერებულს ტალანტს, იდეა ჭაჭანავეძეს უსუსტია ხელოვნური ნიჭი. „რამდენიმე სურათში“ ცხადად ჩანს იდეას ხელოვნური ნიჭის სისუსტე, რადგან ეს სისუსტე არ არის დაფარული გამბარალი, რიტორული ფრაზებით, რომელნიც ეოკეანეთის ბრუნებს ჩვეულებრივს მეათხელს. ამიტომ

რომ ერთად გასინჯოთ მთელი ეს კარგი პოემა „რამდენიმე სურათი“ კრიტიკის შეხებასაც ვერ გაუძლებს ხელოვნურის მხრივ.

პოემა „ახრდილი“ წმინდა რომანტიული მიმართულების ნაწარმოებია. ეს ფრიად შესანიშნავი პოემა პოეტმა დაწერა 1860 წელს, ესე იგი, იმ დროს, როდესაც საქართველოში ბატონ-ყმობა გადავარდნილი არ იყო და ამიტომაც აქ, ამ პოემაში ყმის მდგომარეობას, „შრომის შვილის“ გათავისუფლებას უძღვნა XI, XII, XIII, XIV და XV თავი. ამ პოემაშიკვე საქართველოს გაუბედურების და დაცემის მიზეზებიც ნაჩვენები და მის მომავალზე ზრუნვასა და „მამულის თავისუფლებას“ უძღვნის იგი შესანიშნავს სიტყვებს. მაგრამ „ახრდილის“ ამ მეორე საგანს შემდგ შეკეხები და ახლა მინდა შეეხეროთ მეთხველის ყურადღებას იმაზე, თუ რა სიტყვებით აღწერა პოეტმა „შრომის შვილის“ მდგომარეობის გაუმჯობესობა. პირველად ჩვენში განსვენებულის პოეტის ბოეზიის ამ მხარეს ყურადღება მიაქცია ქუთაისის ქალაქის წარმომადგენელმა და თვის სიტყვაში, რომელიც მან ტხედარს უთხრა, აღნიშნა, რომ ამ ორმოცდა შვიდი წლის წინათ ილიამ აღიარა:

„შრომისა ახსნა—ეგ არის ტკბილთა
ძღვენ მოსილის ამ საუკუნის
და ამ ზვიადმა საუკუნემ
უნდა შვას იგი შრომის სუფევა...“

პოეტი ამბობს, რომ „შრომის ახსნისათვის“ ეტესიდ ბრძოლაში „შრომის შვილს“ არ დაუხმარებია არც ერთი სხვა წოდება, არც მღვდელი და კაჭარი, არც დიდ-კაცობა, რადგან

ის რათ ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
რას მასა შველის მის ბედკრულობა?
რათ შეებრძოლის ის საბოროტესა,
რას შეიტანებით მისით თვით რჩება?..

„შრომის შვილს“ მარტო თვისი თავის იმედი უნდა ქონდეს ამ დიად ბრძოლაში, რომ ძველი ქვეყანა დასნგრიოს და შრომა კი გაანთავისუფლოს.

შრომა, ამ ქვეყნად ტკბილთა ბურობილი,
მძარცველების ქვეშ ხაგრული ენებული,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლათ გამზადებული.

ამ ნიადაგზე აღმართულ „კაცთა ღელვისა დიად ზვირთს“ „ველარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი“ და „შრომის სუფევა მოვა მაშინ“, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წარმომეულ ნიჭთა ველა მოიპოვებ,
სხვას! ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონები და არც იმონებ.

ხომლელი.

(შემდეგი იქნება).



ქვიტრიდამ ქვიტრამდე.

სამეურნეო ლექცია. 7 თებერვალს სალამოს ბ. ნიკო მეურნალმა წაიკითხა დ. ახალსენაგში ლექცია შემდეგ თემაზე: „მეურნეობა მეგრელიაში და მისი გასაუნჯობესებელი საშუალებანი.“ ლექციას დიდ ძალი საზოგადოება დასწრო და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ადგილობრივ დაარსდა სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც ბ. ნიკო ჯიჯიხიამ შესწორა ორი ქცევა ადგილი სამაგალითო მინდვრისათვის. ბ. ნიკო მეურნალი ასეთ ლექციების წაკითხვას სხვა და სხვა შესაფერ თემებზე ავორებს სხვა და სხვა ადგილზე. თუ რომელიმე საზოგადოება ისურვებს და მიიწვევს, ბ. მეურნალი მზადაა თავის სარჯით გამართოს ადგილობ ასეთი ლექციები. სამწუხაროა, რომ ბ. მეურნალს სამსასურისა გამო მხოლოდ კვირაობით და უქმ დღეებში აქვს თავისუფლება. ამ მიზეზის გამო სასურველია, რომ კრებები სადმე დაბებში მოხდებოდეს ან რკინის გზის სადგურებზე. ასეთი პროპაგანდა სამეურნეო ცოდნისა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს კულტურულად დაჩაგრულ სოფლის მუშას, ამისთვის სასურველია, რომ უოფილი ს.-დემოკრატიული პროპაგანდა, რომელმაც ამდენი ცრემლი და სისხლი შესწორა რაღაც ოცნებას, შეცვლებოდეს ამ მშვიდობიან პროპაგანდაზე. კისურვებთ, რომ ბევრი მობაძავი გამოუნდეს ბ. ნ. მეურნალს ამ კეთილ საქმეში.

—

ყოვლად სამღვდელო პეტრეს გარდაცვალება. 5 თებერვალს თბილისში გარდაიცვალა გორის ეპისკოპოსი, პირველი ვიკარი ექსარხოსისა, პეტრე. მიცვალებული 7 თებერვალს სიონში გამოასვენეს, სადაც გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, ხოლო კვირას გაასვენეს ალავერდში, სადაც დაკრძალავენ საკრებულო ტაძარში. ამბობენ, მიცვალებულს 13 ათასი მანეთი დარჩენია, რომელთაგან 6000 მანეთი შეუწირავს თავის სამშობლო სოფლისთვის ეკლესიის ასაგებად, ხოლო დანარჩენი სხვა და სხვა სკოლებისა და საქველმოქმედო დაწესებულებათათვის.

—

აღმზრდელი ქალის დანიშვნა. გაბრიელის საქალებო სასწავლებლის საბჭოს ერთ-ერთ აღმზრდელ ქალის ადგილზე გაუწესებია ვიღაც ჩელაკვის ქალი. როგორც გავიგეთ ეს ქალი გასული უნდა იყოს, ინსტიტუტში კურს დამთავრებული. ჩვენ ვერ ვიცნობთ ქ-ნ ჩელაკვს, შეიძლება იგი ღირსიც იყოს არა თუ ასეთ პატარა ადგილისა, როგორც აღმზრდელისა, არამედ უმეტესისაც, ამიტომ წუნსაც ვერ დავსდებთ ამ მხრით პატივცემულ საბჭოს არჩევანს. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ადგილზე ნაკლებად აღარ გამოდგებოდენ ისევ იმავე გაბრიელის სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც, უნდა შევნიშნოთ, ძრიელ გულნატკენი არიან და სამართლიანად გვისაყვედურებენ, თუ ასეთ ხელობაში აღარ გამოვდგებით, რაღათ გვაწვალებენ 8—9 წლის განმავლობაშიო. აგრეთვე ისიც აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი სამღვდელოება, რომლის ზურგზედაც აღმოცენდა და იკვებება ეს სასწავლებელი ყოველთვის თხოულობდა და დღესაც თხოულობს, რომ ისეთი ადგილი ამ სასწავლებელში, რომლის ღირსნიც აღმოჩნდენ, ისევ ჩვენ ქალებს მიეცესო. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ საბჭო ასეთი ქცევით თვითვე უთხრის საფლავს თავის სასწავლებელს. ჩვენ მხოლოდ ერთი შეგვიძლია ურჩიოთ სასწავლებლის საბჭოს: თუ თავისივე ყოფილი მოწაფეები ღირსად არ მიაჩნია ასეთი მცირე ადგილებისა, როგორც აღმზრდელობაა, შეუძლია ადგილობრივ გიმნაზიაში კურს დამთავრებული მღვდლის ქალებიც იშოვოს და ეს, თავის მოწაფეთათვის უღირსი ადგილი, მათ მისცეს. თორემ ეს ი. ქრისტეს ცნობილ პასუხს მოგვაგონებს, რომელიც მან უთხრა ქანანელ დედაკაცს...

—

კარის მღვდლები. მას შემდეგ, რაც ხალხს უარი ათქმევინეს სამღვდელოების შენახვაზე, ვფიქრობდით სამღვდელო კანდიდატები აღარ გვეყოლებოდა. მაგრამ ასეც არ ყოფილა საქმე. მღვდლობა უმრევლოთაც სასურველი ყოფილა ზოგიერთთათვის. ამ ცოტა ხანში ოთხი მღვდელი ეკურთხა შორაპნის მაზრის სხვა და სხვა სასახლის ეკლესიებზე. თუ ეს გარემოება ნამდვილი სარწმუნოებრივი გრძნობის შედეგია, სწორეთ რომ სასიხარულო და სასიქადულო ამბავია. ხოლო თუ აქ სასახლის ეკლესიების პატრონების მხრით მხოლოდ ანგარება მოქმედებს, და ახალი მღვდლების მხრით სხვა ანგარიშები, მაშინ რაღა მოგახსენოთ, თვით სამღვდელო ხარისხიც სავაჭრო საგნათ გამხდარა და ჩვენ არა დაგვრჩენია-რა მის მეტი, რომ მწარედ ვიგლოვოთ ეს ახალი უბედურება, და თუ შევიძლებით ვებრძოლოთ ამ არა სასურველ მოვლენას.

სკოლების რევიზიისა და მართვა გამგეობისა ახალი საშუალება.

საჭირო არ არის მეთვალყურეთ სოფლებში იაროს სკოლების დასათვალიერებლად. ეს, სწორეთ მოგახსენოთ, მოსაწყენი და სახლაფორთო საქმეც არის, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში და ისიც ჩვენ ადამისეულ გზებში. თანაც ვინ იცის, ათასი ყაჩაღობა და უბედურებაა; შეურაცხების მიღებაც ადვილი მოსალოდნელია. იმას არა სჯობია, შინ ბრძანდებოდე თბილ ბუხართან შალ წამოსხმული ფეხს არ ისველებდე და სკოლების საქმესაც განაგებდე? იქნებ ვინმე იკითხოს, რა ნაირად მოხერხდება ესო? რას არ მოიგონებს იმერელი კაცის გონება, მისთვის ყველაფერი მოსახსენებელია, ყველაფერი ადვილია. მაგ. გარეთ გამოუსვლელად სკოლების რევიზიის თეორია ასეთია: 1) უნდა დაავალო მასწავლებელს, ჩამოვიდეს თუ არა ქალაქში შენ (ე. ი. მეთვალყურე) გნახოს და თან მოსწავლეების ნა-

წერები წარმოგიდგინოს; თუ კარგი ნაწერია, ხომ მასწავლებელიც მუყაითი ყოფილა და შენ სკოლაში რაღა გინდა, თუ გლახა—და მასწავლებელი ხელში გყავს, დაარიგე, განუმარტე, შეასწავლე, შეასმინე და გაისტუმრე; სკოლაში წასვლა მაინც აღარ გჭირდება. მეორეთ რომ გნახავს, იცოდე, კაი ნაწერებს წარმოგიდგენს; შეიძლება ეს ნაწერები მისი (თვით მასწავლებლის) საკუთრებაც იყოს, ან სხვა გარეშე ვინმეს დაეწეროს, მაგრამ შენ რა? სკოლის სახელი ხომ ჰქვია? დაიტოვე და წარადგინე საბჭოში. იმასაც რა ენაღვლება, თუ კი მეთვალყურე ამბობს საქმე კარგად მიდისო. 2) ხანდისხან თუ გარეთ გამობრძანდე (თუმცა დიდი საჭირო არ არის) და სკოლის გამგეს ან დიაკონ-სტაროსტას ან ვინმე მახლობელ მეზობელს შეხვდე, გამოკითხე, მასწავლებელი ხომ არ ზარმაცობს, სკოლაში ხომ დაიარება, ხომ შრომობს თქო. თუ დასტური მოგცენ, სკოლაში რაღა გინდა, საქმე კარგად ყოფილა, თუ არა და საბჭოს მოახსენე, მასწავლებელი ზარმაცობს თქო და იმ წამსვე გაგათავისუფლებენ მცონარისაგან და ვინც მოგწონს დაგინიშნავენ. შეიძლება ვინმე სთქვას, შრომაც არის და შრომაცო. ზოგიერთ შრომას სულ რომ არაფერი აკეთო, ის სჯობიაო. კრილოვის დათვიც შრომობდა, როცა გლეხს ბაძავდა ულლების კეთებაში და ხეებს ლეწავდაო, მაგრამ ამასაც ხომ ნაყოფიერ შრომას ვერ დავუძახებთო! ეს ასე გგონია შენ, ჩემო მოკამათე, თორემ ყოველი შრომა კარგია. ნაყოფს რას დასდევ? ხელის მოწერას ხომ მაინც ისწავლის ბოკში და ესეც დიდი ამბავია სოფლელ გლეხისთვის. 3) რაც შეგიძლია, ეცადე გამგე და მასწავლებელი ერთმანეთს გადაკიდო, გადაამტერო. ამით ძრიელ შეიმსუბუქებ შენ მძიმე ტვირთს. ერთმანეთს გადაკიდებული გამგე და მასწავლებელი ჯაშუშებათ გაგიხდებიან და უხვად მოგაწვდიან ერთმანეთის ამბავს. შეიძლება გადამეტებულიც რამე იქნეს ამ მოხსენებაში, მაგრამ შენ რა? საბჭოს მოახსენე და გაყრის მოსისხარ გამგე-მასწავლებელს; შენ მაინც პირნათელი ხარ. შეიძლება გამგისა და მასწავლებლის გადამტერებით სკოლაც დაიხუროს, მაგრამ ეს უკეთესი: სადაც საქმე კარგად არ მიდის, იქ სკოლა უთუოდ უნდა დაიხუროს; მეთვალყურის საქმე მხოლოდ რევიზიაა და არა სკოლის კარგ ნიადაგზე დაყენება. 4) რაც შეიძლება აგინე გამგეც და მასწავლებელიც, ეს მარგებელია ორი მხრით. ერთი რომ ხსენებული პირები არ გაამპარტავნდებიან, მეორე ნაგინები რომ საქები გამოვა, ნაქები ხომ უსაქებულესი იქნება და ეს შენ ნდობას მოგიპოებს საბჭოს თვალში; სკოლასაც მოუხდება, რაღა თქმა უნდა, გამუყიათდებიან, რომ ქება დაიმსახურონ. 5) მღვდლები და ბლაღოჩინები ლანძღე; მათი ბრალია თუ სკოლაში კარგად არ მიდის საქმე; ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საქმეს, არაფერს ატყობინებენ მეთვალყურეს. 6) მასწავლებელს ბევრ ჯამაგირს ნუ დაუნიშნავ, თავს გაუვა. სოფელში—„ზახალუსტიეში“ ხუთი მანეთიც საკმარისია თვეში. თუ სალდათობისგანაც თავს იფარავს, მეტი რა უნდა? მეტ ფულს მეტი გართობა მოსდევს, მეტ გართობას კი მეტი ცდენა და ეს სკოლისთვის სარგებელი არ არის. 7) თუ ხელქვეითი თანაშემწეები გყვანან, უციკხინე, რაც შეგეძლოს, დაავალე თვეში ორ-ორჯერ შემოირბინონ თავის რაიონის სკოლები. საჭირო არ არის მაინც და მაინც სკოლაში დიდი ხანი დაჰყონ, ბავშები გამოცადონ, მასწავლებლების გაკვეთილებს უყურონ, სამაგალითო გაკვეთილები უჩვენონ, გამგე ინახულონ და გაამხნეონ, ხალხს სკოლის საჭიროება აუხსნან და სხვა ამისთანები. ეს მეტია. საკმარისია სკოლაში შეიხედონ, არის თუ არა მასწავლებელი. 8) თვითონ თქვენ თუ ოდესმე გასეირნება მოგიხდესთ, თავს ნუ შეიწუხებთ სკოლაში შესვლით, გამოცდილი თვალი და ყური შორიდგანაც მიხვდება, რა ხდება სკოლაში, არის თუ არა მასწავლებელი. საქმე თუ კარგად გაქვს მოწყობილი, ე. ი. თუ გყავს საკმაო ფრთხილი, დაუძინებელი აგენტები, რომლებიც თავთავის დროზე გატყობინებენ ამბავს, ეხტიბარს ნუ გაიტეხ. სწერე ქაღალდები და აგზავნე საბჭოში. ხან ტყუილი მოხსენებაც რომ გამოგივიდეს, არა უშავს, მაინც დაგიჯერებენ. 9) უფროსი იქე, უნაროსს ნუ დაზოგავ, უკანასკნელის ლანძღვაზე ააშენებ შენ

ბედნიერებას. ეს ცხრა მცნება გახლავთ ჯერ-ჯერობით ნაცადი და შემუშავებული. თუ რამ კიდევ ახალი შეიმუშავეს, იმასაც მალე შეგატყობინებთ, ჩვენო მოწყალე მკითხველებო!...

კინკილეთელი.

ეველაფერი ოქრო არ არის, რაც ბჭეკია-ლებს.

ჩვენი მეკირალა მოწინააღ ასალგაზდების ზნეობრივი სახე თანდათან ირკვევა. გუშინ, რომ პატიოსნების და სინდისის ტაძრებად გეჩვენებოდენ, დღეს უსინდისობის და უპატიოსნების წუმეში ტურაკენ და თავის ჯიბეში გრძნობენ თავს. გუშინ რომ ძმობას ეფიცებოდენ ერთმანეთს, დღეს მოსისხარი მტრები არიან, გუშინ რომ ერთობას ქადაგობდენ, დღეს პირად ინტერესებში გაქსიენ, გუშინ რომ ბატონობას ეძაგებდენ, დღეს გაბატონებას ლამობენ და ისიც ისეთი საქციელით, რომელსაც მათგან უარეოფილი ძველი რეჟიმის მოძმრეც კი ითაკილებდა. მერმე სად ხდება ასეთი ამბები? მასწავლებელთა წრეში, იმ წრეში, რომელიც ზნეობრივ სისუტეკის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ეს-ეს-ურთა შესახედავთ მაინც. ჭკვეს თქმა ერთია და საქმე მეორე. ჭკვეს ღვინოსა ასალსა ვერ იტვირთებს თხირი ძველი. ჩვენი აზრის დასასურათებლად მიეუთითებთ გაზ. „დროების“ № 26-ში მოთავსებულ ლადო ნაცვლიშვილის წერილზე, რომელიდგანაც ადვილად წარმოიდგენს მკითხველი თუ რამდენად დასურდავდა და ზნეობრივად დაეცა ჩვენი რჩეული ასალგაზდობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სულისსულ საგოგმანებელ მარგალიტებად მიაჩნდათ და თითეულ მათ სიტეკვას ჭერში იჭერდენ და სასარბოთ ულაპარაკენ.

ფიქრნი და მოგონებანი საქართველოს ეკლესიის აწმყო და ყოფილ მდგომარეობაზე.

(გაგრძელება.*)

არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამღვდელოებაც ყოველთვის მდგარიყოს თავის მოციქულებრივ ღირსების სიმაღლეზე. მისი საუკეთესო მოძღვრები თითონ გრძნობენ და დაუფარავად აღიარებენ; რომ ქართველი სამღვდელოება თავის უმრავლესობით არ შეეფერება თავის დანიშნულებას. ბევრი მღვდელი არც კი სცხოვრობს თავის სოფლის სამრეველოში, რადგანაც ამას ამჯობინებენ უფრო მხიარულ და ცხოვრების საშუალებით სავსე ქალაქს, ხოლო ამ დროს მათი ტაძრები რჩება უწირავ-ულოცავი, მიცვალებულები წესაუგებელი, ყრმები დაუნათლავი. რა უნდა მისცეს ავტოკეფალიამ ხალხის კეთილ-წესიერების და სარწმუნოებრივ აღფრთოვანების ასეთ საშიშ დაცემის დროს. ქართველი ხალხი—არა მხოლოდ ინტელიგენტი, არამედ უბრალო ხალხიც—თავის უმრავლესობით გულგრილად ეკიდება სარწმუნოებას და სრულიად არ აინტერესებს თავის ეკლესიის რაღაც ავტოკეფალობა. მართლა და სულ ერთი არ არის მისთვის რომელ ენაზე სრულდება წირვა-ლოცვა ეკლესიაში, სადაც იგი არ დაიარება? სულ ერთი არ არის მისთვის ვინ სდგას ეკლესიის სათავეში რუსი ექსარხოსი, თუ ქართველი ქაოალიკოსი, თუ მან დაჰკარგა პატივი სამღვთო ხარისხისადმი და შეუძლია სრულიად არ მოიაკლისოს მღვდელი? ამისათვის მეტად საეჭვოა ავტოკეფალისტების იმედები, ვითომ ხალხში კეთილ-წესიერება დამყარდება შემდეგ ავტოკეფალობის აღდგინებისა. მეორე მხრით განა შესაძლებელია მისი თავდებობა, რომ ავტოკეფალური სამღვდელოება უფრო გამსჭვალული იქნება თავის მოვალეობის შეგნებით, უფრო აღფრთოვანებული საეკლესიო იდეალებით, ვიდრე ეხლა, რომ ავტოკეფალური შენობა არ გამოიწვევს ახალ არეულობას (ОСЛОЖНЕНІЯ) თვით ეკლესიის მართვა-გამგეობის

*) იხ. „შინ. საქ.“ № 4.

ორგანიზაციაში? ამის თავდებობაც ძნელია. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ქართველ ხალხის ცხოვრებაში არიან ფაქტები, რომლებიც სულ სხვას გვეუბნებიან. ქართველ ხალხის სხვა და სხვა ტომთა შორის ახლაც შენიშნულია უთანხმობა (антагонизмъ), თუმცა ეს უკმაყოფილება ჯერ დაწვლილებითია და ამიტომ გამოუჩინარი. ქართველი კახელები და ქართველი იმერლები დღესაც არ აჯილდოებენ ერთი მეორეს ნაზი გრძნობებით. რა იქნება შემდეგ ავტოკეფალიისა? უთუოდ ეს—იმერლები არ მიიღებენ კახელ კათალიკოზს და თავისას მოითხოვენ. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ საქართველოს საეკლესიო წარსულ ისტორიაშიდაც. ამნაირად ძნელად თუ შეიძლება ითქვას, რომ ავტოკეფალობა გამოიწვევს ხალხის კეთილწესიერების აღორძინებას, გაუორკეცებს მოძღვრულ შურს (ревность) საქართველოს სამღვდელოებას, და ასცილდება ყოველგვარ უსიამოვნობას საეკკესიო მართვა-გამგეობის ორგანიზაციაში. ამას გარდა უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ქართველები ყოველი მხრით შემოზღუდვილი არიან ისლამის აღმსარებლებით მათი მტკიცე სარწმუნოებრივი ყოფა-ცხოვრებით, ხოლო მათთან ახლოს ბუდობს, მეომარი კათოლიკობა, რომელიც უკვე დიდი ხანია ისვრის აქ თავის ბადეს ბევრი თევზის დაჭირვის მოლოდინში. აი ყველა ამაებზე საჭიროა მაგრად მოიფიქრონ ქართველ ავტოკეფალისტებმა და აგრეთვე რუსის საეკლესიო მართველობამ, როცა სწყვეტენ ავტოკეფალობის საკითხს.

ვასურათებ რა დაღვრემილ, მაგრამ სრულებით არა მომეტებულ, ფერადებით საქართველოს ეკლესიის თანამედროვე მდგომარეობას, მე უნებლიეთ გადავდივარ გონების თვალით იმ წარსულ ისტორიულ სივრცეში, როდესაც სახარების უხრწნელმა საღვთო სხივმა პირველად გააბრწყინვა საქართველოს მშვენიერი ჰაერები. ახალგაზდა, უბიწო ქალწული—წმიდა მოციქულთა სწორი ნინა, ღვთისმშობლის ბრძანებით, მიუხედავად თავის სქესური სისუსტისა, მიეშურება შორეულ უცხო ქვეყანაში ქრისტიანობის საქადაგებლად ერთად ერთი იარაღით ხელში—მისივე თმით შეკრული ცხოველმყოფელი ჯვრით. უბრალო ენით უქადაგებს იგი გულის გამგმერ სახარების მოთხრობებს. ლმობიერად და სიხარულით უსმენენ მას კავკასიონის მთების გმირნი მცხოვრებნი და მათ სულში, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეხებია ცივილიზაცია და რომელსაც ამიტომ შენახული ჰქონდა პირველყოფილი გრძნობა და ბავშური მიმღეობა, ენთება ალი ჯვარცმულისადმი სიყვარულისა.

(შემდეგი იქნება).

რედაკტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**

გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება

სახელმძღვანელო სამღვთო სჯულისა „ძველი აღთქმა"—დეკ. ნ. უუბანეიშვილისა

ფასი **50** კ.

გამოვიდა და ისყიდება ავტორთან „შინაური საქმეების" რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი

მოკლე საეკკლესიო ისტორია დეკ პ. სმირნოვისა, საქართველოს საეკკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი **60** კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

იქვე ისყიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში" კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი" ფასი **ოცი შაური.**

Типографія І. М. Хелдзе въ Кутаисѣ. Тифлисская ул., д. Джорджикія.